შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (9.836)

21-28 ივლისი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ოზაანში ხანძრით დაზარალებულ მრავალშვილიან ოჯახს მერია დაეხმარება

გვ.5

გვ.3

საპრეზიდენტო მარათონი და „პრეზიდენტის სასახლის ბედი“

რატომ მოიწამლა დედოფლისწყაროს მოსახლეობა?

გვ.5

უფრთხილდით ტყვიას!

გ 3 . 6

„...გვინდა, იმდენ ხანს იცოცხლო, ვიდრე არ იტყვი, კმარაო!“

გ 3 . 4

გ 3 . 7

რობოტი სოფია _ მომწონს საქართველოში ყოფნა – აქ თბილი და მეგობრული ადამიანები არიან

ვ ა კ ა ნ ს ი ა

გაზეთი „შირაქი“ იწყებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.

აუცილებელი მოთხოვნები:

- *უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);*
- *ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;*
- *სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.*

გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე: gazetishiraki@gmail.com *, ან მობრძანდით გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18*

C M Y K

ლევან იზორია-ბახტაძის მთავრობა იქნება ურყევი და შეუპოვარი იმ გზაზე, რასაც საქართველოს ნატოში ინტეგრაცია ჰქვია...

„ბახტაძის მთავრობა იქნება ურყევი და შეუპოვარი იმ გზაზე, რასაც საქართველოს ნატოში ინტეგრაცია ჰქვია“, - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ბრიუსელში ვიზიტისას, სადაც საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელთან ერთად ნატოს შტაბ-ბინაში ოფიციალურ შეხვედრებს ესწრება.

„სიმბოლურია, რომ პირველი საერთაშორისო ვიზიტი ბატონმა პრემიერმა ნატოში განახორციელა, რითაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ მისი მთავრობის მთავარი კურსი იქნება ორიენტირებული სწორედ ნატოში ინტეგრაციაზე, იმ ღირებულებების განმტკიცებაზე, რასაც ნატოს წევრი ქვეყნები იზიარებენ და ეფუძნება დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ადამიანის უფლებების განმტკიცებასა და თანამედროვე შეიარაღებული ძალების რეფორმირების საკითხს“, - აღნიშნა თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა.

მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ მაღალ შეფასებებს, რომელიც ნატოს სამიტის ფარგლებში საქართველოს მიმართ გაკეთდა. „გაჟღერდა, რომ საქართველოს აქვს დიდი პროგრესი, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების გზაზე, ასევე თავდაცვის უწყების ფარგლებში შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის თვალსაზრისით. აღინიშნა, რომ ეს არის ყოვლისმომცველი რეფორმები, რომლითაც საქართველო დღითიდღე უახლოვდება ნატოს სტანდარტებს.

ითქვა, რომ ბრიუსელის სამიტის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები უნდა აღსრულდეს, განსაკუთრებით კი, საუბარია იმ პოზიციაზე, რომ ნატო ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების ერთგული რჩება“, - აღნიშნა მან.

ლევან იზორიას განცხადებით, შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცების საკითხის განხილვისას ყურადღება გამახვილდა საქართველოს, როგორც ყველაზე სანდო პარტნიორისა და ასპირანტი ქვეყნის თანამონაწილეობის საკითხზე ამ პროცესებში. მისი თქმით, განსაკუთრებით აღინიშნა ნატო-საქართველოს ურთიერთობის ფარგლებში სხვადასხვა პრაქტიკული მექანიზმების მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობა.

„გამოითქვა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის გაფართოების სურვილი კონკრეტული მიმართულებებით, როგორიცაა კონტრმობილურობის, კიბერუსაფრთხოებისა და უსაფრთხო კომუნიკაციების ინიციატივები. აღინიშნა, რომ, რაც შეიძლება მეტი ნატო იყოს წარმოდგენილი საქართველოში და ამის მკაფიო გამოხატულება იქნება მომავალ წელს, მარტში დაგეგმილი ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნები, სადაც თანამონაწილეობის ხარისხი ნატოს მხრიდან იქნება დიდი. შესაბამისად, ეს კიდევ ერთხელ იქნება კონკრეტული წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს ნატოსთან დაახლოების თვალსაზრისით“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

„გვჭირდება შრომის დაცვის მაღალი სტანდარტები“

„ჩვენ გვჭირდება შრომის დაცვის მაღალი სტანდარტები. ეს ბევრ საწარმოში არ იყო. ასე გაგრძელება არ შეიძლება“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით.

„როდესაც ვსაუბრობთ, რომ ჩვენი მთავარი მიზანია საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, ეს უნდა ეხებოდეს ყველა სფეროს, ადამიანის უფლებებით დაწყებული, მომხმარებელთა უფლებების დაცვით, მათ შორის, რა თქმა უნდა შრომის პირობებით დასრულებული.

ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა არაფერი დგას. ჩვენ გვჭირდება შესაბამისი სტანდარტები, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო. 1 აგვისტოდან პროფილური სამინისტრო ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებებს იწყებს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ერთ დღეში შეიძლება შევცვალოთ ის ძალიან მძიმე სტატუს-კვო, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა, მაგრამ ამის დაწყება და პრინციპული გატარება მნიშვნელოვანია, რასაც ევროპელი დონორების მხარდაჭერით აუცილებლად გავაკეთებთ“, - აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის თქმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუშაობს კომპანია „საქნახშირთან“ და იმ პერიოდში, როდესაც ტყიბულის 25-ვე შახტი დახურული იქნება, იქ დასაქმებული ადამიანები სახელფასო ანაზღაურებას ჩვეულებრივად მიიღებენ.

„მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ტყიბულში ყველა შახტი დაიხურება. ადამიანის და მოქალაქის სიცოცხლეზე მაღლა არაფერი დგას. ეს შახტები დაიხურება მანამ, ვიდრე სრულფასოვნად არ დასრულდება როგორც სისხლის სამართლებრივი ძიება, ასევე - საერთაშორისო ტექნიკური ექსპერტიზა ამ შახტების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, აუცილებლად დავადგენთ, შეასრულა თუ არა კომპანიამ აქამდე გაცემული რეკომენდაციები. ამ მიმართულებით, შესაბამისი დავალებები მიცემული აქვს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომლებსაც ისინი აუცილებლად შეასრულებენ“, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

16 ივლისს მინდელის სახელობის შახტში 4 ადამიანი დაიღუპა და 6 დაშავდა. გამოძიების პირველადი ინფორმაციით, გამთენიისას, შახტის ერთ-ერთ გვირაბში სავარაუდოდ მეთანის აფეთქების შედეგად კედლების დეფორმაცია მოხდა, რასაც ჭერის ჩამოშლა მოჰყვა.

სამუშაო შეხვედრა მერიაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ტრადიციულ ყოველკვირეულ თათბირს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტართან, ირაკლი შიოლაშვილთან ერთად უძღვებოდა. სამუშაო შეხვედრას ასევე მერის მოადგილეები , პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და სოფლებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ირაკლი შიოლაშვილმა და ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე ინფორმაცია მოისმინეს და მათი გადაჭრის გზებზე შეხვედრის მონაწილეებთან ერთად იმსჯელეს.

საუბარი შეეხო მიმდინარე ალოობის პროცესს. აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში თავთავიანი კულტურის აღების პროცესი დასასრულს უახლოვდება და უხვმოსავლიანობით არც მიმდინარე წელია გამონაკლისი.

თათბირზე მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც განიხილეს და მუნიციპალიტეტისთვის მათ მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

სასმელი წყლის ეკოლოგიური მართვისა და სანიტარული მომსახურების სერვისების გაუმჯობესებისთვის

ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების კავშირის (SMO CR), უცხოური განვითარების თანამშრომლობის მეწარმეთა პლატფორმის (PPZRS) ხელმძღვანელი პირები და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის დირექტორის მოადგილე ნათია ღვინაშვილი კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს კაჭრეთში შეხვდნენ.

შეხვედრის მოდერატორმა, ა(ა)იპ „კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო“—ს (KRDA) აღმასრულებელმა დირექტორმა მალხაზ ჭრელაშვილმა და ნათია ღვინაშვილმა სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებაში ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ღონისძიებაზე მალხაზ ჭრელაშვილმა კახეთის რეგიონში განსახორციელებელი და განხორციელებული პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა, რომელიც ხელს შეუწყობს კახეთის რეგიონის განვითარებას, ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ესწრებოდა, რომელმაც ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ უცხოელი პარტნიორების გამოცდილების გაზიარება ევროინტეგრაციის გზაზე მდგარი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

შეხვედრა სასმელი და მარაგი წყლის ეკოლოგიური მართვის, ასევე სანიტარული მომსახურებისა და აღნიშნული სერვისების ეფექტიანობის განხილვით გაგრძელდა.

დასასრულს დისკუსია გაიმართა, სადაც მხარეებმა აღნიშნული პროექტის მნიშვნელობასა და მისი განხორციელების გზებზე ისაუბრეს.

გიორგი გახარია და მაია ცქიტიშვილი ვიცე-პრემიერებად დაინიშნენ

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ორი ვიცე-პრემიერი იქნება. პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის გადაწყვეტილებით, ვიცე-პრემიერებად შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი დაინიშნენ.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შესაბამის ბრძანებებს პრემიერ-მინისტრმა ხელი უკვე მოაწერა.

შს მინისტრი გიორგი გახარია პარლამენტის მიერ მთავრობის განახლებული შემადგენლობის დამტკიცებამდეც ვიცე-პრემიერის თანამდებობას იკავებდა.

სადაზღვევო კომპანიები ჩვენ რეალობაზე ბოლომდე მორგებულები არ არიან - რატომ არ აზღვევენ ქართველი მძღოლები ავტომობილებს?

საქართველოს ავტოპარკის მხოლოდ 5,5%-ა დაზღვეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მანქანის დაზღვევის კულტურა საკმაოდ დაბალია.

რატომ არ აზღვევენ ქართველი მძღოლები ავტომობილებს?- დარგის სპეციალისტები რამდენიმე ფაქტორს ასახელებენ. მათი თქმით, ამის მიზეზია ის, რომ ავტოპარკის 91 % 10 წელზე უფრო ასაკოვანია და მისი დაზღვევით არც სადაზღვევო კომპანიები იხიბლებიან და არც თავად მძღოლები. ამას ემატება სადაზღვევო კომპანიების პირობები, რომელიც „მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას“ და ასევე მძღოლების დაბალი ცნობიერება.

მიუხედავად იმისა, რომ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, საქართველოში ერთ წელიწადში დაზღვეული ავტომანქანების რაოდენობა 26,5%-ით გაიზარდა, ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომობილების მხოლოდ 5,5%-ია დაზღვეული. კერძოდ, 2018 წლის პირველ კვარტალში 71 002 პოლისია გაცემული, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15 888 პოლისით მეტია.

როგორც ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, თავად სახელმწიფოს არ აქვს ავტოპარკის განახლების პოლიტიკა, რაც სადაზღვეო კომპანიების მუშაობაზეც აისახება.

„ამას ბევრი მიზეზი აქვს. პირველ რიგში ის, რომ სახელმწიფოს ავტოპარკის განახლების მიმართულებით პოლიტიკა ფაქტობრივად, არ აქვს. გარდა ამისა, 1,2 მილიონი ავტომობილიდან 10 წელზე უფრო ასაკოვანი ავტომობილები არის 91%-ზე უფრო მეტი, სადაზღვევოებს კი მაინც უფრო ახალი ავტომობიების დაზღვევა ურჩევნიათ.

ჩვენ ახლა ვაპირებთ, რომ მივმართავთ შესაბამის უწყებებს და შევთავაზოთ კანონპროექტთა პაკეტი, თუ როგორ უნდა შეეწყოს ხელი ახალი ავტომობილების შემოდინებას ქვეყანაში, რაც დაზღვევასაც წაახალისებს. აქ პირველი რიგში მოსაგვარებელია განბაჟების სისტემა, რომელიც საკმაოდ არასახარბიელოა. 1-2 წლამდე ავტომობილის განბაჟება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე 7-8 წლის ავტომობილის, რაც ვერანაირად ვერ წაახალისიებს ავტოპარკის განახლებას“,- აცხადებს დავით მესხიშვილი.

მისი თქმით, მეორე ფაქტორი, რის გამოც ეს სფერო ვერ ვითარდება, არის მოსახლეობის ფინანსური შესაძლებლობები.

„წარმოიდგინეთ, 450 000-ზე მეტი ავტომობილი 20 წელზე უფრო ასაკოვანია, რაც კარგი ცხოვრებით ნამდვილად არ არის განპირობებული. როდესაც მძღოლს მაგალითად, 25 წლის ასაკის „ოპელ ვექტრას“ დაზღვევაში კომპანია სთავაზობს ძვირიან პაკეტს, ეს რა თქმა უნდა, არ იმუშავებს. ამიტომ, პრობლემა მთლიანობაშია დასანახი“,-აცხადებს დავით მესხიშვილი.

მისი თქმით, სადაზღვევო კომპანიები ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე, ამიტომ მძღოლებს არც მათი შეთავაზებული პირობები მოსწონთ და გარკვეულწილად, უნდობლობაც აქვთ.

„სადაზღვეო კომპანიების მიერ შეთავაზებული წინადადებები შეიძლება არ იყოს ავტომფლობელებისთვის მომხიბვლელი, ან დაფიქსირებული იყოს ბევრი ისეთი შემთხვევა, როდესაც კომპანიამ უსამართლოდ თქვა უარი ზარალის ანაზღაურებაზე. მე ვთვლი, რომ სადაზღვევო კომპანიები ჩვენ რეალობაზე ბოლომდე მორგებულები არ არიან. მათიც მესმის, თუ ძველი ავტომობილების დაზღვევა არ უნდათ, თუმცა ჩვენს რეალობას ხომ უნდა მოერგონ?! აქ არის პრობლემების მთელი ჯაჭვი, დაწყებული ავტოპარკის განახლებით, დასრულებული თავად სადაზღვევო კომპანიებით, რომლებიც მოწოდების სიამღლეზე ვერ დგანან“,-აცხადებს დავით მესხიშვილი.

„ჰაბ ჯორჯიას“ აღმასრულებელი დირექტორი ვასო ურუშაძე ამბობს, რომ საკითხის შესწავლას შესაბამისი კვლევა სჭირდება. თუმცა, მისი თქმით, ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა, სადაზღვეო კომპანიების მიერ შეთავაზებული პაკეტები იყოს, რომელიც ავტომფლობელებს არ მოსწონთ.

„სიმართლე გითხრათ, კვლევა არ ჩაგვიტარებია და კონკრეტულად ვერ გეტყვით, რატომ არ აზღვევენ მანქანებს. თუმცა, შეიძლება, ეს გამოწვეული იყოს თავად სადაზღვეო კომპანიების მიერ შეთავაზებული პაკეტებით და მათი ხარისხით. საკმაოდ ბევრია ისეთი მძღოლი, ვისაც ძვირადღირებული მანქანა ჰყავდა დაზღვეული, დიდ თანხასაც იხდიდნენ დაზღვევაში, მაგრამ როდესაც დასჭირდათ, სადაზღვევო კომპანისგან ის შედეგი ვერ მიიღეს, რასაც ელოდნენ. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ამისთვის თავად მძოლების გამოკითხვაა საჭირო, ვინც აზღვევს მანქანას, რა პირობებს თანხმდება და ვინც უარს ამბობს, რა არის ამის მიზეზი“,-აცხადებს ვასო ურუშაძე.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ეკა ლალიაშვილი კი დაზღვეული მანქანების სიმცირეს, პირველ რიგში მძღოლების დაბალ ცნობიერებას უკავშირებს.

„აქ საზოგადოების ინტერესი უფრო უნდა იყოს, ვიდრე სადაზღვევო კომპანიების. სამწუხაროდ, დაზღვევა არ არის პოპულარული თემა საზოგადოებაში, ცნობადობა არის დაბალი. რატომღაც ჰგონიათ, რომ თუ ავტომობილს დააზღევენ, ხარჯი უფრო მეტი ექნებათ, ვიდრე ამონაგები. ამ საკითხში ჩვენ სახელმწიფოს მხარდაჭერა გვჭირდება, რადგან ეს უსაფრთხოებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და უფრო მეტი ინფორმირებულობაა საჭირო, რომ მძღოლებმა იცოდნენ, რა პოზიტიური შედეგის მომტანია დაზღვევა“,- აცხადებს ეკა ლალიაშვილი.

საპრეზიდენტო მარათონი და „პრეზიდენტის სასახლის ბედი“

საპრეზიდენტო მარათონი სტარტს იღებს. 10-მა ოპოზიციურმა პარტიამ ერთიანი კანდიდატი უკვე წარადგინა - „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე. “თავისუფალი საქართველოს” ლიდერი კახა კუკავა არასაპარლამენტო ოპოზიციას ერთიანი კანდიდატის დასახელებისკენ მოუწოდებს, “ევროპული საქართველო” რჩეულის ძიებაშია, „ოცნება“ კი საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით კონსულტაციებს ივლისის ბოლოს დაიწყებს. სათადარიგო სკამზე მსხდომთა ვინაობა მეტ-ნაკლებად გარკვეულია. ექსპერტთა პროგნოზით, ოპოზიცია ამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, “ოცნების” საპრეზიდენტო კანდიდატი კი გამარჯვებას პირველივე ტურში მოიპოვებს, მაგრამ გაურკვეველი რჩება „პრეზიდენტის სასახლის“ ბედი“.

საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევის პარალელურად განიხილება თუ არა „ოცნებაში“, რა ბედი ეწევა “პრეზიდენტის სასახლეს”? უმრავლესობის წევრ დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით გუნდის შიგნით მსჯელობა ჯერ არ დაწყებულა, „სასახლესთან“ დაკავშირებით კი საუბარი რამდენჯერმე გაიმართა მოქმედ პრეზიდენტთან, თუმცა მან პირობა არ შეასრულა. „ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, თუნდაც პრეზიდენტი რომ ცხოვრობდეს იმ სასახლეში, სადაც ირმები დარბიან. ვფიქრობ, თავად პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს ამის სურვილი. რაც შეეხება შენობის ბედს, იგი უფუნქციოდ არ დარჩება და მან მეტი სარგებელი უნდა მოიტანოს, ვიდრე წაგება”, – განაცხადა ხუნდაძემ. თუ რა ფუნქციას შეიძენს „პრეზიდენტის სასახლე“, რომელიც განხეთქილების ვაშლად იქცა მოქმედ პრეზიდენტსა და მმართველ გუნდს შორის, პოლიტოლოგებს პროგნოზის გაკეთება უჭირთ. გია ხუხაშვილის თქმით, სავარაუდოდ, მომავალი პრეზიდენტის რეზიდენცია ახალ შენობაში, ათონელის ქუჩაზე გადაინაცვლებს, რა ფუნქციას შეიძენს „პრეზიდენტის სასახლე“, ამასთან დაკავშირებით კონკრეტული ფორმულა არ გააჩნია.

საქართველოს მომავალი პრეზიდენტის რეზიდენცია, ალბათ, ათონელის ქუჩაზე, ახლადაშენებულ შენობაში განთავსდება. “პრეზიდენტის სასახლის” შენობა ვიცი და იქ რაიმე სასწავლო ცენტრის ან სხვა ტიპის დაწესებულების განთავსება რამდენად მოხერხდება, ვერ გეტყვით, კონკრეტული ფორმულა ამასთან დაკავშირებით არ მაქვს. ალბათ, ეს საკითხი საფიქრალია და შენობა, რომელიც “ქართული ოცნების”პოლიტიკურ გზავნილად იქცა, ალბათ ისინი გადაწყვეტენ, რა ბედი ეწევა “პრეზიდენტის სასახლეს”, - განაცხადა ხუხაშვილმა. “როცა ეს შენობა შენდებოდა, მაშინაც ვამბობდი, რომ მილიონობით თანხები არ უნდა იხარჯებოდეს ერთი შენობის ასაშენებლად, გინდაც ეს პრეზიდენტის სასახლე ყოფილიყო. ქვეყანაში, სადაც უამრავი პრობლემაა, თანხები მიზნობრივად უნდა იხარჯებოდეს. ვერ გეტყვით, რაში გამოიყენებს ხელისუფლება ამ შენობას იმ შემთხვევაში, თუ მომავალი პრეზიდენტი არ გახდება მისი ბინადარი. ვფიქრობ, რომ, დიდი ალბათობით, პრეზიდენტის რეზიდენცია ათონელის ქუჩაზე განთავსდება. ჩემი აზრით, “პრეზიდენტის სასახლეში” სასწავლო ცენტრი ან სამუზეუმო კომპლექსი ვერ იფუნქციონირებს, მაშინ მთლიანად უნდა შეიცვალოს, რათა ჩაჯდეს იმ სტანდარტებში, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლის ან მუზეუმის ფორმატი მოითხოვს”, – განაცხადა იგორ კვესელავამ.

ყურადღება, ცხადდება აუქციონი!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი ხორნაბუჯი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.06.37.034	2443კვ.მ.	6750	10%	5%	100
2	ქ. დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქუჩა	ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის შენობა N1და N2მიწის ნაკვეთის გარეშე, დემონტაჟის პირობით- 3 თვის ვადაში (მყიდველის მიერ დემონტაჟის პროექტის წარმოდგენით, შენობის დემონტაჟით, ნარჩენი სამშენებლო მასალის გატანით ნაგავსაყრელზე და ტერიტორიის მოსუფთავებით ეზოს ნიშნულის დონეზე)	52.08.32.013	124,74კვ.მ. 6,6 კვ.მ.	8250	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულიდა შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 1300 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 1300 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 1400 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3სართული, მუნიციპალიტეტის მერიისადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი- 300533390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. №44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

„გვინდა, იმდენ ხანს იცოცხლო, ვიდრე არ იტყვი, კმარაო!“

ამ სიტყვებით მიულოცეს საიუბილეო 80 წლისთავი ყოფილმა თანამშრომლებმა ყოფილ დირექტორს და სიურპრიზად წვეულებაც მოუწყეს. ელისო, იგივე ლია ფიროსმანაშვილი, დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკას 34 წლის მანძილზე ედგა სათავეში. მისი შრომითი ბიოგრაფია გამარჯვების საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წითელწყაროს კინოფიკაციაში დაიწყო. ის მოლარის პოზიციაზე მუშაობდა და უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნებობდა. წიგნის სიყვარული და შრომისმოყვარეობა კი ოჯახში ჩამოუყალიბდა. თადო და მარუსა ფიროსმანაშვილებმა ოთხი შვილი გაზარდეს. უფროსი ქალიშვილი, თამარი, ფარმაკოლოგი გახლდათ. მას ტყუპი დები ლია და ნათელა მოსდევდნენ. გვარის მემკვიდრე, სამი დის საფიცარი ძმა, ჯუმბერ ფიროსმანაშვილი იყო. ცხოვრობდნენ შეხმატკბილებულად, მშვიდად, სწავლის დროს სწავლობდნენ, შრომის დროს შრომობდნენ და, რაც ყველაზე მთავარია, უზომოდ უყვარდათ ერთმანეთი, რომელიც დრომ და ასაკმა ვერ გაახუნა. ერთმანეთზე ზრუნვასა და მხარში დგომაში გადიოდა წლები, იყო სიხარულიც, დარდიც,...თამარმა ოჯახი შექმნა, ორი შვილი ეყოლა, ნათელამაც შექმნა ოჯახი, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს.ლიასთვის დისშვილები იყო მთავარი საზრუნავი.

1974 წელი, ცენტრალიზაციის მზადების პერიოდი. მარცხნიდან: ლია ფიროსმანაშვილი, მაყვალა პაპაშვილი, ლილი მნათობიშვილი, ლია ღირსიაშვილი, ჟუჟუნა ჯაგაშვილი, ცირა ალადაშვილი, ლილი დავითაშვილი, ანგელინა ღორაშვილი და იზოლდი ზედელაშვილი.

თვითონ ოჯახი არ შეუქმნია(ბედის ირონიაა სნორედ), მაგრამ მათთვის დედისოდენა ამაგი აქვს. ამიტომ ამბობს რაიონისთვის ცნობადი და პატივსაცემი ქალბატონი, კარგი ადვოკატი და საიმედო მეგობარი მარინა პოპიაშვილი, რომ ლია მისთვის არა მხოლოდ დეიდა ,არამედ მისი ცხოვრების ნაწილიცაა.

– რაც თვალი გავახილე და სამყარო შვიცანი,ლია სულ ჩემს გვერდით არის, სრული ჭეშმარიტებაა „ დეიდას დედის სუნი უდისო“. დისშვილებზე ფიქრში ათენებდა და აღამებდა. ზოგადად, ძალიან სანდო და საიმედო ადამიანია, ყურადღებიანი, სამართლიანი. დიდი ამაგი აქვს ჩვენზე – დისშვილებზე.ახლა კი მოვიდა დრო, სამაგიეროს დაბრუნებისა, რადგან ასაკი მაინც თავისას შვრება. მეც, ჩემი ძმაც და დეიდაშვილებიც მზრუნველობას არ ვაკლებთ, თუმცა, თავისი სახლი ყველაფერს ურჩევნია და პერიოდულად ჩვენც ხელს ვუწყობთ მოინახულოს და მოისურვილოს თავისი კერა, სადაც დაიბადა, გაიზარდა და მთელი სიცოცხლე იცხოვრა. ყველას ძალიან გვიყვარს, ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ, – ამბობს ქალბატონი მარინა.

ტკივილის გარეშე ცხოვრება არ არსებობს და ლიამაც ძალიან იდარდა მშობლების დაკარგვა, მაგრამ ჯუმბერის, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცის, გარდაცვალებამ და ტყუპისცალი ნათელას დაღუპვამ შეუხორცებელი იარა დაუტოვა. ახლა უფროსი დის – თამრიკოს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ავედრებს უფალს და მისი ცხოვრებით ცხოვრობს.ასეთია ქალბატონი ლიას პირადი ცხოვრება ერთი თვალის გადავლებით. ჩვენ კი კვლავ ლიას შრომით საქმიანობას დავუბრუნდეთ და იმ შეხვედრას, რომელიც ორშაბათს, 16 ივლისს შედგა კაფე „შოკოლადოში“. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ლიამ პირველი სამსახური კინოფიკაციაში დაიწყო, პარალელურად კი თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე ბიბლიოთეკათმცოდნე- ბიბლიოგრაფის სპეციალობით. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი 1964 წელს სარაიონო ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს. იმ დღიდან, თითქმის ოთხი ათეული წელი, ემსახურა იგი ამ მნიშვნელოვან საქმეს, რადგან კარგად ესმოდა , რომ სწორედ წიგნი და წიგნიერება არის ინტელექტის შექმნის ყველაზე დიდი საშუალება. შაყვარო მოზარდს თუ მოზრდილს წიგნის კითხვა, ეს ადვილი არ არის, წიგნის კითხვა მარტო სიამოვნება როდია, ის შრომაა და ნებისყოფას მოითხოვს. წიგნიერებისა და ინტელექტის გარეშე კი კაცობრიობა ვერ განვითარდება. დღეს ინფორმაციის მოპოვების მრავალი გზა და საშუალება არსებობს, მაგრამ წიგნი და, ზოგადად, ბეჭდური სისტემა მაინც შეუვცლელია, მას ფუნქცია არ დაუკარგავს და არც დაკარგავს. არც საბიბლიოთეკო საქმიანობაა ხელწამოსაკრავი საქმე. იქ თავაუღებელი სამუშაოა, თუ შენს მოვალეობას პირნათლად ასრულებ, რა თქმა უნდა. ლია და მისი გუნდი კი, სწორედ რომ, თავაუღებლად მუშაობდნენ. აბონენტების, დარბაზის, ბიბლიოგრაფიული, დამუშავება-დაკომპლექტების, ძირითადი საცავის განყოფილებების გამართული მუშაობა ცენტრალური ბიბლიოთეკის მუშაობის ღერძი იყო, რომელიც საქალაქო ბიბლიოთეკასა და საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად მთელი სასოფლო ბიბლიოთეკების ქსელსაც ხელმძღვანელობდა.

ნელი გოგეჭიშვილი, **კულტურის სამსახურის ყოფილი დირექტორი:** თითქმის სამი ათეული წელი ვიმუშავეთ მე და ლია ფიროსმანაშვილმა ერთ სისტემაში. მე, როგორც მისი ხელმძღვანელი, მუდამ მშვიდად და იმედიანად ვიყავი საბიბლიოთეკო საქმიანობის მიმართ, რადგან ვიცოდი, რომ ქალბატონი ლია არა მარტო საუკეთესო სპეციალისტი და თავისი საქმის პროფესიონალი იყო, არამედ თავდადებული მშრომელიც, არც თვითონ ისვენებდა და არც თანამშრომლებს პატიობდა სიზარმაცეს და უპასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ გამარჯვებიდან დადიოდა, არც იგვიანებდა და არც ადრე მიდიოდა. თანამშრომლებიც, მთელი სისტემის ფარგლებში, ერთგულად ემსახურებოდნენ თავის საქმეს. არადა, წიგნის ფასი ასწავლო ადამიანს და დაინტერესო, ადვილი არ არის. 1973-74 წლებში არნახულად დიდი სამუშაოები ჩატარდა ბიბლიოთეკებში, რადგან მოხდა ცენტრალიზაცია, რაც ნიშნავდა ათწილადი კლასიფიკაციიდან ბბკ-ას სისტემაზე გადასვლას და მთლიანი ფონდის ხელახალ სრულყოფილ დამუშავებას. მოხდა მთელი წიგნადი ფონდის რეგისტრაცია, აფასება, ტექნიკური დამუშავება, კატალოგიზაცია. ეს კოლოსალური სამუშაო იყო და ბიბლიოთეკართა დიდმა გუნდმა, ლიას ხელმძღვანელობით, შესანიშნავად გაართვა თავი. დღეს რომ რაიონის მუნიციპალურ ბიბლიოთეკას საუკეთესო, სრულად გამართული წიგნადი ფონდი აქვს, მაშინდელი თავდაუზოგავი შრომის შედეგია და ამას დაფასება სჭირდება. ძალიან მტკივნეული იყო 90-იან წლებში საბიბლიოთეკო სისტემის, როგორც არამწარმოებლური დარგის გამსხვილება და ამის გამო შტატების შემცირება. ლია „კბილებით იცავდა“ თითოეული თანამშრომლის შტატს. მოვახდინეთ წიგნადი ფონდის აფასება საბაზრო ნიხრით, რომლის საერთო ღირებულებამ ნახევარი მილიონი ლარი შეადგინა და დაფიქსირდა, როგორც სახელმწიფო საბიუჯეტო ქონება, რომლის ხელის ხლებაც ვერავინ გაბედა. ასე გადარჩა ჩვენი ბიბლიოთეკები ლია ამ მოვლენების შუაგულში ტრიალებდა და თავის თავზე ბევრ რამეს იღებდა. მისი შრომა მრავალგზის დაფასდა სიგელებითა და მადლობებით და დაგვირგვინდა „ღირსების მედლით“. როდესაც მან სამსახურიდან წასვლის თაობაზე განაცხადა, მე არ მინდოდა მისი გაშვება, მაგრამ გადაწყვეტილებებში ის მუდამ პრინციპული იყო, რადგან ამას გაუაზრებლად არასოდეს აკეთებდა. მადლობა მას კულტურის სფეროში გაწეული გამორჩეული წვლილისათვის.

ანგელინა ღორაშვილი, **ცენტრალური ბიბლიოთეკის დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილების ყოფილი გამგე:** - 19 წლის ვიყავ, საბიბლიოთეკო სისტემაში რომ დავიწყე მუშაობა. იქ ისეთი ხალხი დამხვდა მარიამ გელაშვილის, მერი ღორაშვილის, მაყვალა პაპაშვილის, ანზორ ჯალიაშვილის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები) და კიდევ სხვათა სახით, რომ არა მხოლოდ დამაკვალიანეს პროფესიაში, არამედ შემაყვარეს კიდეც. რაც შეეხება ჩვენს იუბილარს, მე მადლობელი ვარ, რომ მქონდა მასთან მუშაობის ბედნიერება. ქალბატონი ლია არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყო, როგორც სპეციალისტი, როგორც ხელმძღვანელი და როგორც ადამიანი. ის იყო მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი. მისი წასვლის შემდეგ უფრო ნათლად გავაცნობიერეთ, რას ნიშნავდა ის ორგანიზაციისათვის, ის იყო ჩვენი საიმედო საყრდენი, გვასწავლიდა და გვთხოვდა კიდეც მის შესრულებას. დღევანდელი გამართული საბიბლიოთეკო მუშაობაც მისი დამსახურებაა. ის ცდილობდა, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით ყოფილიყო დაკომპლექტებული, ამიტომაც გვასახელებდნენ რესპუბლიკურ კონფერენციებსა თუ კულტურის სამინისტროში ერთ-ერთ წარმატებულ ორგანიზაციად. მადლობა ქალბატონ ლიას იმ უანგარო და თავდადებული შრომისათვის, რაც მან ოთხი ათეული წლის მანძილზე გასწია საბიბლიოთეკო საქმიანობაში. ვულოცავთ იუბილეს და კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებთ მას.

ჟუჟუნა ჯაგაშვილი, **ცენტრალური ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების ყოფილი გამგე, ბიბლიოგრაფი** – ჩვენი უმრავლესობა სასწავლებლის მერხიდან მოვედით სამუშაოდ ამ სისტემაში. ასაკითაც უმცროსები ვიყავით და ქალბატონმა ლიამ გამოგვზარდა და გამოგვაწრთო, ამ სიტყვის სრული გაგებით. გვაძლევდა შენიშვნებს, არ გვპატიობდა უდისციპლინობას და გულგრილ დამოკიდებულებას. შეიძლება, იმ მომენტში გვწყინდა კიდეც, მაგრამ შემდგომ ვხვდებოდით, რომ ასე საქმეს სჭირდებოდა. საქმის იქეთ ის უაღრესად ყურადღებიანი და მზრუნველი ხელმძღვანელი იყო, ყველას ჭირის და ლხინის გამზიარებელი და გვერდშიმდგომი. დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

თინიკო სულაშვილი, **სააბონიმენტო განყოფილების ხელმძღვანელი,** – ქალბატონი ლია, როგორც ჩვენში იტყვიან, ავ-კარგიანი ადამიანია, საქმის დროს – საქმე, ლხინის დროს – ლხინი, ჭირის დროს – თანადგომა ეს მისი ღირსების მთავარი კრიტერიუმებია. შიგნით რომ „თავზე კაკალი დაემტვრია“ ჩვენთვის, გარეთ არავის ათქმევინებდა ჩვენზე აუგს. შტატების შემცირებაზე რომ საქმე მიდგებოდა, თავგამოდებით იბრძოდა თითოეული ჩვენგანის სამსახურის შენარჩუნებისათვის. მე დღეს აქ ერთადერთი ვარ, ვინც ისევ დასაქმებულია, ვაგრძელებ მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში მუშაობას და რაც ვიცი, სულ ლიამ მასწავლა თავის დროზე. ბევრი რთული პერიოდი გადავიტანეთ, ოთხმოცდაათიანი წლების სიცივე, სიბნელე, შიმშილი და გაჭირვება ურთიერთანადგომით გადავიტანეთ. მადლობა მას ყველაფრისათვის.

სამადლობელო სიტყვაში ქალბატონმა ლიამ პირველ რიგში ახსნა სამსახურიდან წასვლის მიზეზი და მადლობა გადაუხადა ყოფილ თანამშრომლებსა და თანამებრძოლებს ამ ლამაზი დღის მოწყობისათვის.

– 34 წელი ვხელმძღვანელობდი საბიბლიოთეკო ქსელს და ვცდილობდი, არ შემერცხვინა ჩემი ორგანიზაცია. ეს ადვილი არ იყო არც კომუნისტური რეჟიმის და არც შემდგომ პერიოდში. მადლობელი ვარ ჩემი თანამშრომლების, რომლებიც მუდამ ჩემს გვერდში იდგნენ. მე რომ სამსახური დავტოვე, მორიგი შტატების შემცირების წინა პერიოდი იყო. არ მინდოდა, რომ მე დავრჩენილიყავ და რომელიმე ახალგაზრდა თანამშრომელი სახლში წასულიყო, მათ უკან ხომ ოჯახები, შვილები იდგა, მე უკვე პენსია მქონდა და პენსიასა და ჩემს ხელფასს შორის სულ რაღაც ხუთიოდე ლარი იყო სხვაობა. არ მიღირდა ის 5 ლარი, რომელიმე თანამშრომლის გამწარებად. მადლობელი ვარ ამ სითბოსა და სიყვარულისათვის, რომელიც დღეს მე მივიღე. ბედნიერი ვარ, გმადლობთ.

შეხვედრა, რომელიც მსუმბუქი სადილის ფონზე მიმდინარეობდა, გაჯერებული იყო ურთიერთსიყვარულით და მონატრებით, რადგან ისინი, სამსახურიდან წასვლის შემდეგ, იშვიათად თუ ხვდებიან ერთმანეთს. მათი უმრავლესობა შტატების შემცირების მოტივით, პენსიონერის სტატუსის მოშველიებით, უბოდიშოდ გაუშვეს სამსახურიდან და მადლობაც არავის უთქვამს, რაზეც მათ გული სამართლიანად სწყდებათ

(გაგრძელება გვ.8)

ოზაანში ხანძრით დაზარალებულ მრავალშვილიან ოჯახს მერია დაეხმარება

„სოციალურად დაუცველი ოჯახი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მანამდეც სარგებლობდა სხვადასხვა შეღავათებით, კვლავაც გაგრძელდება მათი მხარდაჭერა“

18 ივლისს, სოფელ ოზაანში ყაჭაშვილების ექვსსულიანი ოჯახის საცხოვრებელი სახლი დაიწვა. შემთხვევის დროს სახლში დედა და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდა, რომელთაც ცეცხლის კერა გვიან შენიშნეს. წინასწარი ინფორმაციით, ყაჭაშვილების საცხოვრებელ სახლში ცეცხლი დაახლოებით 20:00 საათისთვის, მოძველებული ელექტროსადენებიდან გაჩნდა. როგორც ყაჭაშვილებმა გაზეთ „შირაქს“ უამბეს, მათი მამაპაპისეული სახლი 1961 წელსაა აშენებული და ეს მათთვის ერთადერთი თავშესაფარი იყო. ოჯახის უფროსი ამ დროს სახლში არ იყო, თუმცა, ზაზა ყაჭაშვილი ადასტურებს, რომ მოძველებული და გაუმართავი ელექტროსადენები ჰქონდათ. დაზარალებულები პარლამენტის წევრმა ირაკლი შიოლაშვილმა და მუნიციპალიტეტის მერმა იმავე დღეს მოინახულეს. ოჯახი სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული და ყოველთვიურ საარსებო შემწეობას იღებს.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურის სამი ეკიპაჟი. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა სრულად განადგურდა სოციალურად დაუცველი ოჯახის სახლი, რის შედეგადაც ყაჭაშვილები ღია ცის ქვეშ დარჩნენ.

„დაბადებიდან ამ სახლში ვცხოვრობ ძალიან გვიჭირს, ამიტომ ოჯახი მშიერი რომ არ დამრჩეს და სახლში ლუკმა შემოვიტანო, მინდორში ვმუშაობ ხოლმე ხან ტრაქტორზე, ხან კომბაინზე, ხანაც ყარაულად. ამ დროსაც სახლში არ ვიყავი, მინდორ „მნარეწყალზე“ ვიყავი, ჩვეულებრივად ვმუშაობდი. დამირეკეს, „ნუ გეშინია, ცოლ-შვილი კარგად გყავს, მაგრამ სახლი დაგეწვაო“... მაშინვე გამოვიქეცი, მოვედი და ასეთი სიტუაცია დამხვდა, ყველაფერი განადგურებული იყო. მთელმა სოფელმა აქ მოიყარა თავი. 112-შიც მეზობლებმა დარეკეს. მოვიდა სახანძრო, ჩააქრო, მაგრამ მეორე დილას ისევ განმეორდა ცეცხლი და ხელახლა გამოვიძახეთ. შემდეგ დედოფლისწყაროს მერიიდანაც მოვიდნენ, ექსპერტებიც იყვნენ, ყველაფერი ადგილზე ნახეს. ხელისუფლება მამშვიდებს, რომ ყველანაირად დამეხმარებიან და არ ვინერვიულო. მაგრამ, რა იქნება მომავალში არ ვიცი. რაც მამაჩემის დანატოვარი მებადა, ყველაფერი გამინადგურდა. გაზი არ მაქვს შეყვანილი, მაგრამ დენი მქონდა, სახლიც საკმაოდ ძველია. ძველი გაყვანილობა იყო, რაც სახლი აშენდა, მას შემდეგ არ შეცვლილა. ჭერში გაჩნდა ცეცხლი და შემდეგ გავრცელდა. არ ვიცი, მავთულები გაყვლეფილი იყო, დაადუღა, თუ რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ სახლი დაგვეწვა. არაფერი აღარ გადარჩა,“ – ამბობს დაზარალებული ზაზა ყაჭაშვილი.

ნინო ჯეგირაშვილი *(მრავალშვილიანი დედა, დაზარალებული):* „დაბლა, უკანა ოთახში შვილებთან ერთად ვიყავი და დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერი გავიგე. შემდეგ უკვე სუნი ვიგრძენი, შემდეგ ჩემი დიდი გოგო გარეთ გავიდა, სახლს შეხედა და შეშინებული შემოვარდა, დედა, მაღლა სახლში ბოლი დგასო. მერე ბავშვებს ვუთხარი სასწრაფოდ გაქცეულიყვნენ და მეც ქვემოთ ჩავედი, მეზობლების დაძახება ვცადე, რომ სახანძროში დაგვერეკა. ჩემი და ბავშვების გასვლიდან დაახლოებით 10 წუთში ფანჯრებიც ჩამოიმსხვრა და შიფრებმა ტკაცატკუცი დაიწყო. ყველაფერი ერთიანად აალდა. დიდების და პატარების ტანსაცმელი გვქონდა, ჭურჭელი, თუ რაც გვქონდა ჩვენი სიღარიბისა, ყველაფერი ცეცხლმა წაგვართვა. რაც მანამდე გვეცვა და როგორც ვიყავით, ასევე დავრჩით, ცარიელ-ტარიელები. არც ტანსაცმელი გვაქვს, აღარც ჭურჭელი. უნდა ითქვას, ღია ცის ქვეშ ვართ ღვთის ანაბარა დარჩენილები. ძალიან ვინერვიულე და ცუდად გავხდი. ოთხი შვილის დედა ვარ და თუ ვინმეს შესაძლებლობა აქვს, იქნებ რამენაირად დამეხმაროთ“.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში განმარტავენ, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს მერია ბინის ქირით ყოველთვიურად უზრუნველყოფს. დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ ელექტროენერგიის და სხვა სახის შეღავათებით ოჯახი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მანამდეც სარგებლობდა და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

„შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად ვიმყოფებოდით. რამდენიმე სახანძრო ბრიგადა მუშაობდა, თუმცა სახლის გადარჩენა სამწუხაროდ ვერ მოხერხდა. ამ ოჯახს ვიცნობთ, მაშინვე ვესაუბრეთ მათ. ყაჭაშვილების 6 სულიანი ოჯახი ისედაც მერიის სოციალური პაკეტის ბენეფიციარია, ხანძრამდეც სარგებლობდნენ სხვადასხვა შეღავათებით, რაც გათვალისწინებულია მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ამჯერადაც, მერია ქირით გაიყვანთ და საცხოვრებლის პრობლემა არ შეექმნებათ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად მოხდება მათთვის ბინის ქირის გადარიცხვა. სოფელ ოზაანში ჩემი წარმომადგენლის დახმარებით, უკვე შერჩეულია თავისუფალი ბინა, სადაც დაზარალებული ოჯახი იცხოვრებს. გადაწყვეტილია, რომ ისინი იქ გადაბარგდებიან. ამას გარდა, ჩვეულებრივად, სხვა რა სოციალური პაკეტიც ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია, ისინი ყველაფრით ისარგებლებენ. ასევე, ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსით სარგებლობს და ექვს სულზე გათვალისწინებულ ყოველთვიურ საარსებო შემწეობას იღებს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური სააგენტოსგანაც. აუცილებლად გაგრძელდება ჩვენი მხრიდან მაქსიმალური თანადგომა ყაჭაშვილების მიმართ“ – აცხადებს დედოფლისწყაროს მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, დაზარალებულმა ოჯახმა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი მერის წარმომადგენლის დახმარებით იმავე დასახლებაში ახლოს შეარჩია და ბარგის გადატანაც დაიწყო. სულ მალე გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მერია ყაჭაშვილებს ბინის ქირას აუნაზღაურებს.

„აქვე ახლოს იყო მიტოვებული, დაკეტილი სახლი. მეპატრონეს ვთხოვეთ და დაგვთახმდა. მანამდე ცოლშვილი ნათესავებთან მყავდა შეფარებული, პირველი ღამე იქ გავათიეთ. შემდეგ უკვე დავიწყეთ ამ ბინის დასუფთავება. ძალიან ძველი სახლია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. სანამ განადგურებული სახლის აღდგენას შევძლებთ, ქირით ვიცხოვრებთ,“ – ამბობს ზაზა ყაჭაშვილი.

მომხდარზე მოკვლევა შს დედოფლისწყაროს რაიონულმა სამმართველომ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

ილია მარტყოფლიშვილი

რატომ მოიწამლა დედოფლისწყაროს მოსახლეობა?

დედოფლისწყაროში მოსახლეობის მოწამლვის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც ჩვენთან საუბარში ადგილობრივმა მცხოვრებმა გოგიტა რობიტაშვილმა განაცხადა, მისი მეულლე საავადმყოფოში საშინელი მუცლის ტკივილით გადაიყვანეს. ისინი ეჭვობენ, რომ მოწამლვის მიზეზი დაბინძურებული წყალია.

„დაახლოებით რვა ადამიანი ეტაპობრივად გადაიყვანეს საავადმყოფოში. დედოფლისწყაროში არ აქვთ ის აღჭურვილობა, რომლითაც საფუძვლიანად გამოიკვლევდნენ პაციენტებს, ამიტომ პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ ჩვენი ძალებით ინდივიდუალურად თბილისის სხვადასხვა სავადმყოფოში გადავედით. წყალზე იმიტომ გვაქვს ეჭვი, რომ ზემო და ქვემო უბნის მცხოვრებლები მიყოლებით გახდნენ ცუდად. ასევე შეუძლოდ გახდა, ბოდბიდან ჩამოსული ორი სტუმარი, რომლებიც გასვენებაში იმყოფებოდნენ. როგორც ინფექციურში გვითხრეს, ანალიზებში ნაწლავური ჩხირები გამოიკვეთა, რამაც ნაწლავების გაღიზიანება გამოიწვია.“

დედოფლისწყაროს მერის **ნიკოლოზ ჯანიაშვილის** განცხადებით, ჯერჯერობით წყლით მოწამლვის ვერსია არ დასტურდება.

„ადგილზე იყვნენ მოსულები გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლები, აიღეს ანალიზები და დადასტურდა, რომ წყლის დაბინძურება არ არის. ჩვენ კიდევ დამატებით სხვა ლაბორატორებშიც ვამოწმებინებთ და მათი დასკვნა სავარაუდოდ ორშაბათს გვექნება. წყალი იმიტომ გამოვრიცხეთ, რომ დაზარალებულები სხვადასხვა ზონაში ცხოვრობენ, რომელიც სხვადასხვა რეზერვუარიდან მარაგდება. სხვა ლაბორატორიებიდანაც რომ მოვა პასუხები, დასკვნას ამის შემდეგ გავაკეთებთ.“

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის **მარიეტა გონაშვილის** განმარტებით, დაზარალებულები ერთ-ერთ რესტორანში გასვენებაში იმყოფებოდნენ. ამჟამად ყველა მათგანის ანალიზი თბილისში ლაბორატორიაში არის გადაგზავნილი და პასუხებს მომდევნო კვირაში ელოდებიან.

„თორმეტი-ცამეტი კაცი 5 ივლისს, როგორც გამოიკვეთა, ყველა ერთ რესტორანში იყო ორ სხვადასხვა სუფრაზე. ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის ვცდილობთ გამოკვლევა წყლიდან დავიწყოთ, მაგრამ არ არის დაზუსტებული წყალია თუ საკვებში იყო რამე. იყვნენ დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან ჩამოსულები, აიღეს ანალიზები მათგან, ვისაც ჩივილები ჰქონდა. გაკეთდება მოლეკულური ანალიზი, რომელიც უფრო ზუსტ პასუხს მოგვცემს.“

მარიეტა გონაშვილის განცხადებით, წყლის სინჯები აიღო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ლაბორატორიამაც.

„გავაკეთეთ მუნიციპალური წყლის ანალიზი. გარდა ამისა, სინჯები აიღეს იმ რესტორნის რეზერვუარიდან, სადაც დაზარალებულები იმყოფებოდნენ. ასევე, დღეს ჩამოვლენ სურსათის უვნებლობის წარმომადგენლებიც და ისინიც ჩაატარებენ მოკვლევას. ერთ-ერთი ქალბატონის დიაგნოზი არის ამებიაზი, ხოლო დანარჩენების-ჰემოკოლიტი. მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და საშიშროება არავის ემუქრება.“

მარიეტა გონაშვილის თქმით, ამჟამად კვლევის პროცესში იმყოფებიან. თუ რამ გამოიწვია მოსახლეობის მოწამლვა, მიზეზი მომდევნო კვირაში გახდება ცნობილი.

მარინა პეტრიაშვილი

უფრთხილდით ტყვიას!

ჯანდაცვის სამინისტრო ბავშვების ორგანიზმში მძიმე მეტალის შემოწმებას იწყებს. უწყებამ კვლევის ჩატარება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საქართველოდან უცხოეთში წასულმა მოქალაქეებმა შემოწმებისას სისხლში დიდი ოდენობით ტყვია აღმოაჩინეს.

საგანგაშო სტატისტიკა აჩვენა მცირე მასშტაბის კვლევამ საქართველოშიც. მძიმე მეტალი ორგანიზმში გამოკვლეული ბავშვების 44 პროცენტს აღმოაჩნდა.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობაზე კვლევის ჩატარება გადაწყდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორ ამირან გამყრელიძის თქმით, ცალკეულ ჯგუფებში ჩატარებული მცირე კვლევებით დადგინდა, რომ 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ტყვიის შემცველობის ზომიერი მატებაა - დაახლოებით 15%-დან 20%-ის ფარგლებში. გამყრელიძის ინფორმაციით, ჯერჯერობით დიდი კვლევა ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა.

ევროპის ეკოლოგიური კომიტეტის წევრი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე აღნიშნავს, რომ ტყვია ტოქსიკური მძიმე ლითონია, რომელიც გარემოში ე.წ. ეთილირებული ბენზინის საშუალებით ხვდება - ბენზინს, ხარისხის გასაუმჯობესებლად უმატებენ ტეტრაეთილტყვიას, როგორც ანტიდეტონატორს... **„ადამიანის ორგანიზმში ტყვია ხვდება როგორც წყლისა და საკვების, ისე ჰაერის საშუალებით. მისი გაზრდილი დონე იწვევს ავთვისებიან სიმსივნეს, მიოკარდიუმის ინფარქტს, ზრდის შეჩერებას, სმენის დაქვეითებას, ინტელექტუალურ დეგრადაციას.** ტყვიით მოწამვლის რისკი ბავშვებისთვის ბევრად მაღალია, ვიდრე მოზრდილთათვის, რადგან ნივთიერებათა ცვლის პროცესები პატარა ასაკში ბევრად ინტენსიურია. მოსწავლეთა ცუდი სწავლა და აგრესიული ქცევაც სწორედ ტყვიის დაგროვებასთანაა დაკავშირებული“, - ამბობს გახოკიძე. მისი განმარტებით, ტყვიით მოწამვლის მიზეზი შეიძლება გახდეს ძველი შენობების დანგრევისას გაფანტული მტვერი ან ბოლი, საიუველირო ნაკეთობათა ნარჩენები, მხატვრული ტილოები, საყოფაცხოვრებო აკუმულატორები და ტყვიის შრიფტები...

ბოლო წლებში მრავალი ქვეყნის მთავრობამ შეშფოთება გამოთქვა სათამაშოებსა და სამკაულებში აღმოჩენილი დიდი რაოდენობით ტყვიის გამო. ეს კი ის საგნებია, რომელთა პირში ჩადება და ღეჭვა პატარებს უყვართ. ტყვიით მოწამვლა განსაკუთრებით სახიფათოა ექვს წლამდე ბავშვებისათვის, რომელთა ცენტრალური ნერვული სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

ერთ-ერთი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის კვლევის თანახმად, ტყვია აფერხებს ტვინისთვის ცილის მიწოდებას, რაც აუცილებელია მისი სათანადო განვითარებისა და ფუნქციონირებისთვის (Johns Hopkins Bloomberg School of Public Health). კვლევებმა ისიც გამოავლინა, რომ ბავშვის ორგანიზმი პირის ღრუდან მოხვედრილი ტყვიის 50 პროცენტს ითვისებს, მოზრდილთა შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 10–15 პროცენტია.

გარდა ამისა, როგორც აღმოჩნდა, ტყვია



ჯანმრთელობისთვის შეიძლება იმ შემთხვევაშიც სახიფათო იყოს, თუ პროდუქციაში მისი შემცველობა მთავრობის მიერ დაშვებულ ნორმაზე დაბალია. შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მონაცემებით, **ტყვიით მოწამვლამ ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს „სწავლის უნარის დაქვეითება, ყურადღების გაფანტვის სინდრომი, ქცევითი დარღვევები, შეფერხებული ზრდა, სმენის გაუარესება და თირკმლის დაზიანება“.** ამ ფაქტორების გათვალისწინება განსაკუთრებით მართებთ მათ, ვისაც ბავშვის ყოლის სურვილი აქვს, რადგან ტყვია ვნებს ჩანასახს.

ტყვია ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს საკვებით, რომელიც მომზადებულია ტყვიის შემცველი მინანქრით დაფარულ ჭურჭელში, რომელსაც ძირითადად აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში იყენებენ. გრილად რომ შეინახონ, ზოგჯერ წყალს თიხის ჭურჭელში ასხამენ, ცხელ სასმელებს კი მომინანქრებული ჭიქებით შეექცევიან. მეხიკოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების გამოკვლევამ აჩვენა, რომ წლინახევრის ბავშვების თითქმის ნახევარს სისხლში ტყვიის ნორმა მომატებული ჰქონდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მომინანქრებულ ჭურჭელში მომზადებული საკვები დასახელდა. ტყვია თიხის ნაკეთობებს ბზინვარებას ანიჭებს, მაგრამ ის ადვილად ხვდება საკვებში, თუ ჭურჭელს აცხელებენ ან მასში ხილ-ბოსტნეულს ინახავენ.

ტყვიით მოწამვლის სხვა მიზეზები

მართალია, ბოლო წლებში განვითარებული ქვეყნების უმეტესობამ დაიწყო ტყვიისგან გამოთავისუფლებული საწვავის გამოყენება, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით დაახლოებით 100 ქვეყანაში ჯერ კიდევ გამოიყენება ტყვიის შემცველი საწვავი. ტყვია არ იშლება და არ იწვის. ტრანსპორტის გამონაბოლქვში არსებული ტყვიის ნანილაკები გზისპირა ნიადაგში ხვდება. ამგვარად ტყვიის მტვერს შევისუნთქავთ ან ფეხსაცმლით შეგვაქვს სახლში.

კიდევ ერთ საშიშროებას წარმოადგენს ტყვიის შემცველი საღებავები, რომლებსაც იყენებდნენ მაშინ, ვიდრე მათი გამოყენების შემზღუდველი კანონები ამოქმედდებოდა. როგორც ვარაუდობენ, შეერთებულ შტატებში სახლების დაახლოებით 40 პროცენტი ანუ 38 მილიონი სახლი ასეთი საღებავებით არის შელებილი. განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის აფცქვნილი საღებავი და მისი მტვერი, რომელიც რემონტის დროს ხვდება ჰაერში.

ძველ ქალაქებსა და სახლებში ტყვიის მილები ან ტყვიით შედუღებული სპილენძის მილებია გაყვანილი წყლისთვის. შეერთებულ შტატებში, ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო ცენტრის, მეიოს კლინიკის რეკომენდაციით სასურველია, რომ დალევამდე ასეთი მილებიდან წამოსულმა წყალმა 30-60 წამი იდინოს. ასეთ მილებში გამავალი ცხელი წყლის დალევა და საჭმლის მოსამზადებლად მისი გამოყენება დაუშვებელია, განსაკუთრებით ბავშვის საკვების მოსამზადებლად.

სისხლში ტყვიის დონე საგრძნობლად კლებულობს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი წყვეტს ტყვიის შემცველ ნივთებთან კონტაქტს. **ვისაც აინტერესებს, აქვს თუ არა სისხლში ტყვია, ამის დადგენა სისხლის ანალიზით შეუძლია.** თუ ტყვიის დონე სისხლში დასაშვებ ნორმაზე მეტია, აუცილებელია სათანადო ზომების მიღება.

საზოგადოების ინფორმირება

ტყვია ორგანიზმში დროთა განმავლობაში გროვდება და მოწამვლას იწვევს. თუმცა მისი დიდი რაოდენობით სისხლში ერთხელ მოხვედრაც შეიძლება სასიკვდილო აღმოჩნდეს. შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრების მონაცემებით 2006 წელს ოთხი წლის ბავშვი დაილუპა ტყვიის მაღალი შემცველობის სამკაულის ჩაყლაპვის გამო.

იმის ხაზგასასმელად, რამდენად აუცილებელია ამ საფრთხის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, ერთ სამედიცინო ენციკლოპედიაში მოყვანილია შემდეგი სტატისტიკა: შეერთებულ შტატებში სკოლამდელი ასაკის ყოველი 20 ბავშვიდან ერთს სისხლში ტყვიის დონე მომატებული აქვს. და თუ ეს ასეა იმ ქვეყანაში, სადაც პროდუქციაში ტყვიის დონეს აკონტროლებს კანონი, რა მდგომარეობა იქნება იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი კანონები არ არსებობს?! ამიტომ სიფრთხილე ყველას გვმართებს.

ტყვიით სავსე გარემო

ტყვია ტოქსიკური ლითონია, რომელიც ბუნებაში დედამიწის ქერქში მოიპოვება. მისი ფართო მოხმარება გარემოს მასობრივ დაბინძურებას იწვევს და დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. ის გავლენას ახდენს ფაქტობრივად ყველა — ნერვულ, ჰემატოლოგიურ, საჭმლის მომნელებელ, გულ-სისხლძარღვთა, საშარდე სისტემებზე. მოზრდილებთან ტყვიით მოწამვლა იწვევს წნევის მომატებას, ნერვულ აშლილობას, გაღიზიანებას, სახსრებისა და კუნთების ტკივილს, ზოგჯერ — უნაყოფობასაც კი, აქვეითებს ყურადღების კონცენტრირების უნარს, ასუსტებს მეხსიერებას; ბავშვებთან მოსალოდნელია ანემია, მუცლის ძლიერი ტკივილი, კუნთოვანი სისუსტე და თავის ტვინის დაზიანება, ჰიპერაქტიურობა, კითხვისა და მეტყველების უნარების დაქვეითება, კოორდინაციის გაძნელება, ქცევის პრობლემები. აკადემიური მოსწრება იკლებს, ინტელექტის მაჩვენებლები უარესდება, ზრდა და განვითარება ფერხდება. აღსანიშნავია, რომ ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ განვითარებას მცირე რაოდენობის ტყვიაც კი ვნებს. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან ორსულებიც.

როგორ ვიწამლებით

თანამედროვე მსოფლიოში ტყვიის მთავარი წყარო საღებავებია. ამ საღებავებით ღებავენ სახლს, ავეჯს და, რაც მთავარია, სათამაშოებსაც კი. აქედან ტყვია ადვილად ხვდება მტვერში, მტვერთან ერთად კი მას ჩვენ ჩავისუნთქავთ.

საღებავები, საუბედუროდ, ტკბილია, ამიტომ ბავშვები სიამოვნებით ღეჭავენ — ეს ორგანიზმში ტყვიის მოხვედრის კიდევ ერთი გზაა.

ტყვია აღმოჩენილია სასმელ წყალშიც, სადაც ის ტყვიის შემცველი ნიადაგიდან ხვდება, თავად ნიადაგში კი ეს ლითონი ავტომობილის გამონაბოლქვიდან აღწევს.

ტყვიას შეიცავს ძველი სახლების წყალგაყვანილობის მილებიც, ასე რომ, ეს საშიში ელემენტი ორგანიზმში შესაძლოა ამ გზითაც მოხვდეს.

ტყვიით მოწამვლა ხშირად კლინიკური სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს. შესაბამისად, მოწამლულს არავინ მკურნალობს, ამიტომ აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ბავშვების სისხლში ტყვიის კონცენტრაციის საყოველთაო სკრინინგი ტარდება. საქართველოში ტყვიის მავნე გავლენის დამადასტურებელი კვლევა, სამწუხაროდ არ ჩატარებულა, მაგრამ სხვა ქვეყნების მონაცემები მოწმობს, რომ პრობლემა ძალზე აქტუალურია. მაგალითად, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ გამოკვლეული ყოველი ექვსი ბავშვიდან ერთს ტყვიით მოწამვლის ნიშნები აღმოაჩნდა. ჯანმრთელობისა და გარემოს გამოკვლევის მესამე ნაციონალური კონგრესის მასალების მიხედვით, აშშ-ში 930 ათასი სკოლამდელი ასაკის ბავშვის სისხლში ტყვიის შემცველობა აღემატებოდა დასაშვებ ნორმას (10 მგ„დლ-ს). 275 ათას მათგანთან ეს მაჩვენებელი 15 მგ„დლ იყო, 85 ათასთან კი — 20 მგ„დლ. 2013 წელს ტყვიით მოწამვლა 853 000 ადამიანის გარდაცვალებისა და 16,8 მილიონის ინვალიდობის მიზეზად იქცა. ყოველწლიურად მენტალური ფუნქციების დარღვევათა 600 000 ახალი შემთხვევა სწორედ ტყვიით მოწამვლას უკავშირდება. ჯანმოს შეფასებით, ტყვიით მოწამვლით გამოწვეული დაავადებები დაავადებათა გლობალური ტვირთის 0.6%-ს შეადგენს. ტვირთი განსაკუთრებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში. ჯანმოსავე ინფორმაციით, ტყვიით მოწამვლის პრევენცია სავსებით შესაძლებელია, თუმცა მსოფლიოს აქამდე ჯერ გრძელი გზა აშორებს. ჯანმომ ტყვია იმ 10 ქიმიური ნივთიერების ნუსხაში შეიტანა, რომლებიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კუთხით დიდ შეშფოთებას იწვევს და სახელმწიფოთა მთავრობების თანმიმდევრულ ნაბიჯებს მოითხოვს. უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად ტყვიის შემცველი საღებავების აკრძალვა მიიჩნევა. თუმცა, ამგვარი საღებავის გამოყენება სამედიცინო-სანიტარიულ პრობლემებს მრავალი წლის შემდეგაც იწვევს. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ტყვიაშემცველი საღებავები რამდენიმე ათეული წელია აკრძალეს, ძველი სახლები დღემდე დაავადების წყაროს წარმოადგენს (მაგალითად, დასავლეთის ზოგ ქვეყანაში საღებავების წარმოებაში 1970 წლიდან აღარ იყენებენ ტყვიას, მაგრამ ტყვიის შემცველი მტვერი ბავშვების ორგანიზმში მაინც ხვდება ძველი შენობებისა და ავეჯის ზედაპირიდან).

მკურნალობა და პრევენცია

ტყვიით მოწამვლის მკურნალობა ქელატიურ თერაპიას გულისხმობს. ამ დროს ადამიანი იღებს ისეთ მედიკამენტებს, რომლებიც ბოჭავს ტყვიას და შარდის საშუალებით ორგანიზმიდან გამოაძევებს. შესაძლოა, დაგჭირდეთ ედტ (ეთილენდიამინტეტრააცეტილის მჟავას) თერაპია, რომელიც მძიმე ლითონებით ინტოქსიკაციის დროს გამოიყენება.

მძიმე შემთხვევებში დარღვევები შესაძლოა სათანადო მკურნალობითაც კი ვერ აღმოიფხვრას, ამიტომ გადამწყვეტი როლი პრევენციას ენიჭება:

• კვირაში ერთხელ მაინც სველი წესით დაალაგეთ ოთახები;

• სველი წესით გაასუფთავეთ ავეჯი და სხვა ზედაპირები, რომლებზეც შესაძლოა მტვერი იყოს დაგროვილი;

• ხშირად გარეცხეთ ბავშვის სათამაშოები;

• მიაჩვიეთ ბავშვი ხელების დაბანას, განსაკუთრებით — ქუჩიდან დაბრუნების შემდეგ, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ

• მიანოდეთ რკინით, კალციუმითა და ცილებით მდიდარი საკვები — ისინი ტყვიის მიმართ ორგანიზმის გამძლეობას ზრდიან;

• მოარიდეთ მეტისმეტად ცხიმიან საკვებს, რადგან ცხიმი ორგანიზმში ტყვიის დიდი ხნით შეკავებას უწყობს ხელს;

• თუ ძველი სანტექნიკა გაქვთ, რომელიც ტყვიის შემცველი მილებითაა აწყობილი, გამოყენებამდე ერთი წუთის განმავლობაში აცადეთ წყალს თავისუფლად დენა;

• ნუ გამოიყენებთ ონკანის ცხელ წყალს ბავშვის საკვების მოსამზადებლად;

• 6 თვიდან ბავშვს პერიოდულად ჩაუტარეთ შესაბამისი გამოკვლევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ინდუსტრიულ რაიონში ან დედაქალაქში ცხოვრობთ;

• ნუ ასეირნებთ ბავშვს ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებში (ტყვიას მანქანის გამონაბოლქვიც შეიცავს), ერიდეთ ასეთ გარემოში თუნდაც მცირე ხნით ყოფნას;

• ორსულობის დროს კატეგორიულად იკრძალება ისეთ საწარმოში მუშაობა, სადაც მაღალია ტყვიით მოწამვლის რისკი.

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1978 WLIS IVLISI

◆ CXELI ZAFXULI DA CIVI ABANO! `ABANO KARGI RAM IQNEBAO~ - AMAS VER ITYVIS WITELWYAROELI, RADGAN MAT CIVI ABANO ZAMTARSIC UNAXAVT. CIVI ABANOTI MIREBULI GAMOCDILEBA WITELWYAROELEBS ZAMTAR-ZAFXULS AQVT. VIN MOSTVLIS, RAMDENI MELAN-QARALDI DAXAR JULA PROBLEMIS MOSAGVAREBLAD. WITELWYAROELEBSAC UNDAT KETILMOWYOBILI ABANO. UKVE ARSEBOBS SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS SAMINISTROS DADGENILEBA, ROMELSAC VERC GVERDS AUVLIS VERAVIN DA VERC URALATEBS. WITELWYAROSI UNDA ASENDES TANAMEDROVE TIPIS ORSARTULIANI HIGIENIS SAXLI. MEORE SARTULZE GANTAVSDEBA QALISA DA MAMAKACIS SAPARIKMAXEROEBI, XOLO PIRVEL SARTULZE BINAS DAIDEBS ABANO, IMGVARI, ROMELSAC WUNS VERAVIN DASDEBS. SAMINISTROS KVLEVIT INSTITUTSI UKVE MUSAOBEN AM PROEQTZE. GAISAD UNDA DAIWYOS DA DASRULDES HIGIENIS SAXLIS MSENEBLOBA. MANAMDE ORI WELIA, ARSEBUL ABANOSI MDGOMAREOBA KI KRITIKULIA. BEVRJER GVINAXAVS ABANOS SAXURAVZE ABROTEBULI SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS SAMMARTVELOS UFROSI, GIORGI ROBITASVILI, ROCA WYLIS MIWODEBIS XARVEZEBS ASWOREBS. MAS CECXLFARESADAC UMUSAVNIA DA RA QNAS, MCDELOBA AR DAUKLIA. FAQTIA, IM TANXIT, RAC ABANOS REMONTZE WLEBIS MANZILZE IXARJEBODA, DIDI XANIA ASENDEBODA AXALI HIGIENIS SAXLI. WLEULSAC 10 000 MANETIA GAMOYOFILI REMONTISTVIS. DROEBITI REMONTI RAMDENIME WELIWADS UNDA MOICAVDES DA MASINVE AR UNDA FUWDEBODES. IQNEB, ARAR ARIS SAWIRO REMONTI DA DROA AXLIS ASENEBAS VUCADOT? SAMMARTVELOM CVENIVE SAREMONTO KANTORAS MIMARTA TXOVNIT, MAT KI DRES-XVALES ZAXILIT NAXEVARI WELI CAATARES.

◆ OTAR DA NAZI KOWLAMAZASVILEBIS OJAXI PAPOBASA DA BEBIOBAZE OCNEBOBDA DA FEXMZIME RZALS, ROMELIC DEDOBAS ELODEBODA, CIVNIAVS AR AKAREBDNEN. UECRAD, QALMA TAVBRUS XVEVA IGRZNO DA GONEBA DAKARGA. SESFOTEBULMA MSOBLEBMA SASWRAFO DAXMAREBA GAMOIZAXES. MDGOMAREOBA RTULI IYO. EQIMEBI WUTIT AR TOVEBDNEN AVADMYOFS DA YVELA RONESXMAROBDNEN MISI MDGOMAREOBIS GASAUMJOBESEBLAD. MAGRAM, OPERACIA GARDAUVALI SEIQMNA. QIRURGMA თენგიზ კოდიაშვილმა TAVISTAVZE AIRO ORI SICOCXLIS GADARCENA DA GAAMARTLA KIDEC. QALS SICOCXLE SEUNARCUNA DA VAJIC ACUQA. MADLIERMA MSOBLEBMA AXALSOBILS TENGIZI DAARQVES.

◆ AMASWINAT VIRACA MGZAVRS AVTOBUSSI DARCA SAFULE, ROMELSIC SAKMAOD DIDI TANXA IDO. MZROLMA GOGIA YUSITASVILMA SAFULE `AXALI SIRAQIS~ REDAQCIASI MOITANA DA ITXOVA GAZETIS SASUALEBIT MOGVEZEBNA PATRONI. ASE ROM MIS TXOVNAS VASRULEBT. SAERTOD KARGI AVTORITETIT SARGEBLOBS WITELWYAROS AVTOSATRANSPORTO SAWARMOSI AVTOBUSIS MZROLI GOGIA YUSITASVILI. MIS MIMART MGZAVREBI MUDAM KMAYOFILEBI ARIAN XOLME.

◆ AUCILEBELIA SAXELMWIFOS MIVYIDOT SAKARMIDAMO XORCIC. MAGALITAD, QALAQ WITELWYAROS SKOLA-INTERNATIS MASWAVLEBELMA GIORGI BOSTASVILMA SAKUTAR SAKARMIDAMO NAKVETZE GAMOZARDA 5 GOWI, SAGULDAGULOD GAASUQA DA SAXELMWIFOS CAABARA 500 KILOGRAMI SAKARMIDAMO RORIS XORCI. AMXANAGMA BOSTASVILMA VALDEBULEBA AIRO KVLAVAC-GA ASUQOS BURVAKEBI DA WLIS BOLOSTVIS ISEV MIHYIDOS SAXELMWIFOS METI TU ARA, ISEV IM ODENOBIS XORCI. SAMAGALITOA MISI SAQCIELI, AUCILEBELIA SXVA MSROMELEBMAC MIBAZON MASWAVLEBELS DA SAKARMIDAMO XORCI MATAC AWARMOON.

◆ `WITELWYAROS RAIONSI SROMA-GASWOREBA MISJILI PIREBI ZIRITADAD PIRNATLAD IXDIAN SASJELS. TU AR CAVTVLIT ERTEUL PIREBS. AMASI GARKVEULI WVLILI MIUZRVIT SINAGAN SAQMETA GANYOFILEBIS XELMZRVANELEBS. YVELA TANAMSROMELI AQTIURAD GVEXMAREBA SROMAGASWOREBA MISJILTA SAMUSAOZE DROULAD MIMAGREBASI, MATS SEMDGOM ARZRDA-GAMOSWOREBASI. WITELWYAROS SS RAIONUL GANYOFILEBASTAN ARSEBOBS GAMASWOREBEL SAMUSAOTA INSPEQCIA, ROMELIC AM PROCESS XELMZRVANELOBS. MAGRAM WVLILI UNDA SEITANON IM WARMOEBA-ORGANIZACIEBMAC, ROMLEBSIC IRI - CXEBIAN DAMNASAVE PIREBI,~ - GVATYOBINEBS WITELWYAROS SROMA-GASWOREBITI INSPEQCIIS UFROSI INSPEQTORI N. FIROSMANASVILI.

1983 WLIS IVLISI

◆ SOFEL ARBOSIKIS KOLMEURNEOBIS VENAXEBIS IM BRIGADASI TU SEIXEDAVT, ROMELSAC XELMZRVANELOBS DIMITRI SEFIASVILI, GAGIKVIRDEBAT. GAOCEBULI DARCEBIT RADGAN IS SATIBVELS UFRO WAAGAVS VIDRE KOLMEURNEOBIS VENAXS. MAGRAM, RAS IZAM, FAQTS VERSAD GAEQCEVI. SAMWUXAROA, ROM AXLA, ROCA WRAQIS WINAARMDEG BRZOLA MIMDINAREOBS, ASET VENAXEBSI SEIWAMLEBA ARA VAZI, ARAMED UZARMAZARI BALAXI. SALAFA, ROMELIC `SAIMEDOD ICAVS~ VAZS MISTVIS SAWIRO DA SASARGEBLO WAMLISGANGANA AMAS HQVIA VAZIS GADARCENISTVIS ZRUNVA?!

◆ SAWIROA AXALI SATELEFONO CNOBARI. RAIONSA DA Q. WITELWYAROS MOSAXLEOBA DIDI XANIA, RAC TELEFONIT SARGEBLOBS, ROMELIC ASE SAWIROA DREVANDEL XANASI. MARTO QALAQ WITELWYAROS MOSAXLEOBAS 1500 TELEFONI EMSAXUREBA. SAGRZNOBLAD GAFARTOVDA SATELEFONO QSELI SOFLEBSIC. SADGUREBI DAMONTAJEBULIA ARBOSIKSI, MACXAANSI, QVEMO QEDSI, ZEMO QEDSI DA SXVAGAN. BEVRI ABONENTI KI TELEFONS VER MOIXMARS, RADGAN CNOBARI AR AQVS. RAIONIS MASSTABIT ASETI CNOBARI 7 WLIS WIN DAISTAMBA. MAS SEMDEG TITQMIS GAORKECDA SATELEFONO QSELI. SEICVALA NOMREBIC. AXALI CNOBARI KI ISEV AR GVAQVS. SAWIROA,-KAVSIRGABMULOBIS RAIONULMA KVANZMA DROULAD IZRUNOS, AM METAD SAWIRO SAQMEZE.

სოფელი ზემო ქედი. სოფლის განვითარებამდე ადგილობრივები ასეთ მიწურებში ცხოვრობდნენ.

◆ ARBOSIKIS CENTRALUR GZAS ARAFERI MIUGAVS CENTRALURS. GZIS NAPIREBI CAXERGILIA SASENI MASALEBITA DA SESA FICXIT. CENTRALURS EZAXIAN, TOREM ES YOVELIVE QUCAS UKARGAVS LAMAZ IERSAXES. ASEVE AFERXEBS FEXIT MOSIARULETA DA TRANSPORTIS MOZRAOBAS. IMEDIA, `AXALI SIRAQIS~ SOLTIS SEMDEG AQ VITAREBA MALE GAMOSWORDEBA.

◆ SAKVEBI WARXALI ROM ZVIRFASI SAKVEBIAES KARGAD ICIAN ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBIS XELMZRVANELEBMAC DA SPECIALISTEBMAC. MAGRAM WARXLIS NATESIS MOVLA PATRONOBIS SAQME MAT RATOMRAC MEOREXARISXOVNAD MIACNIAT DA ARAVITAR YURADREBAS AR AQCEVEN. TELAWYALZE MDEBARE WARXLIS NATESI ISEA SAREVELASI CAMALULI, ROM ZNELI GASARCEVIA RA IYO DATESILI DA RA ARIS ARMOCENEBULI. SAINTERESOA RAS ELIS, RA MOSAVALI UNDA MOIMKOS KOLMEURNEOBAM AM SAMBNARISGAN? MATI DAUDEVROBIS SEDEGAD KOLMEURNEOBIS PIRUTYVS DAAKLDEBA ASOBIT TONA WVNIANI SAKVEBI. ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBIS XELMZRVANELEBS GVINDA VKITXOT, RA ZOMEBI GATARDA AM UPASUXISMGEBLOBIS SAPASUXOD?

(STILI DACULIA)

MOAMZADA
ილია მარტყოფლიშვილმა

რობოტი სოფია — მომწონს საქართველოში ყოფნა - აქ თბილი და მეგობრული ადამიანები არიან

მომწონს საქართველოში ყოფნა, -ამის შესახებ მსოფლიოში ყველაზე განვითარებულმა ჰუმანოიდმა რობოტმა სოფიამ ბრიფინგზე განაცხადა.

„საქართველო ცნობილია თავისი კერძებით და სტუმართმოყვარეობით. მე არ მექნება შესაძლებლობა, ვისიამოვნო კერძებით, თუმცა, ვხედავ, როგორი თბილი და მეგობრული ადამიანები არიან აქ“, - განაცხადა სოფიამ.

მან ასევე ისაუბრა იმაზე, რომ „რობოტები ხალხს ეხმარებიან და არ არიან შექმნილნი ხალხის ჩასანაცვლებლად“.

რობოტი სოფია ასევე შეეხო ხელოვნური ინტელექტის საკითხს. მისი თქმით, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ადამიანებს გაუადვილოს განმეორებადი ამოცანები და სწრაფად მიიღონ გადაწყვეტილებები.

მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ჰუმანოიდი რობოტი სოფია საქართველოში გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მოწვევით, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მეხუთე გლობალურ სამიტში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა.

„ჰუმანოიდი რობოტი სოფია (www.hansonrobotics.com/robot/sophia) Hanson Robotics-ის უახლესი და ყველაზე განვითარებული რობოტია. 2017 წლის ნოემბერში გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) სოფია ინოვაციების ჩემპიონად გამოაცხადა. მანამდე გაეროს წოდებები მხოლოდ ადამიანებს ენიჭებოდა“, - ნათქვამია საქართველოში გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მონატრება

გია ქურციკაშვილი



ჩემო შვილო გია, გილოცავ დაბადების დღეს! პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ. გითქვამს, სამოცი წლისა ვეღარ გავხდებიო. ვერც გახდი. შარშან, უკვე შენი ავადმყოფობის დროს, მოინდომე დაბადების დღის აღნიშვნა – მინდა, ყველას მადლობა გადავუხადოო და მოიწვიე შენი მეგობრები, ახლობლები,მეზობლები. ისინიც გეწვივნენ დარდით სავსე გულით და სევდიანი მზერით. მადლობა ყველას, შვილო, რომ მოგცეს საშუალება, შენი გძნობები გამოგეხატა და დამშვიდობებოდი მათ. რამდენიმე თვეში კი გადაინაცვლე ცათა სასუფეველში და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და მონატრება. ორ-ორი ვაჟკაცის დაბინავების მძიმე უღელი შენს ძვირფას მეუღლეს ლალი ყოჩიაშვილს დაუტოვე. ძალიან აკლიხარ მთელ ოჯახს, ძნელია უშენობა, შენ ხომ სხვანაირი ხალისი და იმედი შემოგქონდა ოჯახში. საიუბილეო სამოცი წლისთავზე მოვალთ შენს საფლავზე, მოგილოცავთ, გაგიხსენებთ, აგინთებთ სანთლებს და დავბრუნდებით უკან დამძიმებული ფიქრებით და დარდით სავსენი.

ნათელში იყავ, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს სამოთხისკენ გზა-კვალი.

შენი გამწარებული დედა
ნათელა ქურციკაშვილი

მეუღლე იზოლდი ბენაშვილი, შვილები: გელა, ნანა, რძალი ციური კვანჭილაშვილი, შვილიშვილები: მიშიკო, იზა, მაგდა ნატროშვილები, თორნიკე და გიორგი ბაიდოშვილები, შვილთაშვილები და ახლობლები იუწყებიან

მიხეილ (ჩიტო) ნატროშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 17 ივლისს სოფელ ჯაფარიძეში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თამილა ნადირაშვილს ბიძაშვილის

მარინა გოგილაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ვისელი გორაშვილი, თემურ ბაღაშვილი, თამაზ ნადირაშვილი, ზაზა ხუნაშვილი, გივი პოპიაშვილი, ხაკა მაისურაძე, დათო ბაშარული, ომარ ბენაშვილი, გულო იაკობიშვილი, ცემზი პოპიაშვილი, ზურიკო პოპიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ თემო, მარინა, ნიკა, ეკა, ნოშრე შიუკაშვილებს

სოფო შიუკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ცემენტის წარმოება და დედოფლისწყაროს საბადო საფრთხის წინაშე

ერთერთმა უმსხვილესმა ცემენტის მწარმოებელმა კომპანია „ჰაიდელბერგცემენტმა“, შესაძლოა, რუსთავის ქარხნის ღუმელი გათიშოს, რაც გამოიწვევს დედოფლისწყაროს კირქვის საბადოზე ქვიშის მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტას. შედეგად კი დედოფლისწყაროში მოქმედი ერთერთი მსხვილი საწარმო გაჩერდება, რაც თავის მხრივ სამუშაო ადგილების დაკარგვას გამოიწვევს. ცნობისთვის: „ჰაიდელბერგცემენტი“ დედოფლისწყაროში ერთერთ მსხვილ დამსაქმებლად ითვლება, რომელიც წლების მანძილზე სტაბილურად მუშაობს. „ჰაიდელბერგცემენტის“ არცთუ სასიამოვნო გეგმებზე საქართველოს ცემენტის ასოციაცია ღიად საუბრობს. გასულ კვირას ასოციაციის განცხადება საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გაავრცელა.

„საქართველოს ცემენტის ასოციაცია“ დედოფლისწყაროს კირქვის საბადოს გაჩერების გამომწვევ მიზეზად ე.წ. დემპინგს ასახელებს. საქართველოში ცემენტის ინდუსტრია ირანის მიერ ბოლო პერიოდში ინიცირებულმა „დემპინგმა“ პირდაპირი და აშკარა საფრთხის წინაშე დააყენა. თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში ცემენტის წარმოება მოკვდება და მას ირანული პროდუქცია ჩაანაცვლებს. ასოციაციაში მიაჩნიათ, რომ ირანული ცემენტის ქართულ ბაზარზე გამოჩენის შემდეგ მონოპოლიის დამყარების მცდელობის ნიშნები უკვე ჩანს. ცემენტის ასოციაციის განცხადება მეტ დამაჯერებლობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასოციაციის დამფუძნებელთა რიგებში სწორედ „ჰაიდელბერგცემენტის“ ხელმძღვანელი პირები არიან.

საგანგაშოდ გამოიყურება სტატისტიკური მონაცემებიც. მიმდინარე წლის მაისში განხორციელებულმა ცემენტის იმპორტმა საქართველოს ბაზრის დაახლოებით 2-3% შეადგინა, ივნისში კი მაჩვენებელი - 11%-მდე გაიზარდა. თუმცა, ეს ციფრი უფრო მაღალიც იქნებოდა, ირანული ცემენტის ყველა პარტიას შესაბამისი უტყუარი წარმოშობის სერტიფიკატი რომ ჰქონოდა. თუმცა, არაერთი შემთხვევა იყო, როცა საზღვარზე შემოტანისას ცემენტის პარტიას შესაბამისი სერტიფიკატები არ აღმოაჩნდათ, რის გამოც მათი იმპორტი არ განხორციელდა.

საქართველოში ყოველწლიურად 2 მილიონი ტონა ცემენტის მოთხოვნილება არსებობს. ირანის ცემენტის წარმოება კი საკუთარი ბაზრის შიდა მოთხოვნას 40 მილიონ ტონით აჭარბებს. როგორც ასოციაციის განცხადებაზე თანდართული სტატიებიდან ირკვევა, ჭარბი ცემენტის სარეალიზაციოდ ირანი გეგმავს ექსპორტზე გაიტანოს მაქსიმალურად დიდი ოდენობის ცემენტი. ეს კი ძირითადად მეზობელ ქვეყნებში იგეგმება, მიზანშია საქართველოც, სადაც ირანული ცემენტის წილი ქართულ ბაზარზე დიდი სისწრაფით იზრდება.



გავრცელებულ განცხადებაში ამ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს ცემენტის ასოციაციის პრეზიდენტი პოლ როძიანკო რეაგირებას სახელმწიფოს სთხოვს. „თუ მსგავსი ტენდენცია გაგრძელდება და არ იქნება მიღებული ქმედითი ზომები, შეიძლება საქართველოში სრულიად გაქრეს ცემენტის ინდუსტრია, შესაბამის სამუშაო ადგილებთან ერთად. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებასა და მინისტრთა კაბინეტი, ჯერ არ არის მზად გადაწყვიტოს დემპინგის საკითხი, მაგრამ გვინდა ვთხოვოთ დროულად მიიღონ მხედველობაში ის საფრთხეები, რომელებიც არსებობს.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ჰაიდელბერგცემენტი, „საქართველოს ცემენტის ასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, უახლოეს მომავალში აპირებს რუსთავის ქარხნის ღუმელის გათიშვას და წყვეტს მოპოვებით სამუშაოებს დედოფლისწყაროს კირქვის საბადოზე, რის გამოც იძულებულია დაითხოვოს ასობით თანამშრომელი (გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ჰაიდელბერგცემენტს პირდაპირი წესით 1,300 თანამშრომელი ჰყავს დასაქმებული, მაგრამ არაპირდაპირი დასაქმების წესით ქმნის 5,000-ზე მეტ სამუშაო ადგილს). ანალოგიური სცენარი განვითარდება სხვა, ცემენტის მცირე საწარმოებთან მიმართებაშიც“ – განცხადა პოლ როძიანკომ.

„ირანელი მწარმოებლებისთვის ზღვაში წვეთია საქართველოს ბაზრის ათვისება, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ირანთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს და ტრანსპორტირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. თანდართული სატრანსპორტო ზედნადების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე 16 აშშ დოლარად მიწოდებული ტონა კლინკერის ღირებულებიდან გამყიდველის ქარხანაში სარეალიზაციო ფასი დაახლოებით 8 აშშ დოლარს შეადგენს. ეს არის საოცრად დაბალი ფასი, რომელსაც მშრალი ცემენტის ყველაზე მაღალტექნოლოგიური საწარმოც კი ვერ შესთავაზებს მომხმარებელს.

დემპინგის ამ აგრესიულმა ფორმამ შედეგად მოგვცა ის, რომ საქართველოში შემოტანილი კლინკერის ფასმა მიწოდების და დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით ტონაზე 120 ლარს მიაღწია, რაც 25-35 ლარით ნაკლებია ადგილობრივ ფასთან შედარებით. უკვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია ირანული შეფუთული ცემენტი, რომელის სარეალიზაციო ფასიც ადგილობრივი წარმოების შეფუთულ ცემენტთან შედარებით 30%-35%-ით ნაკლებია.

თუ ირანი გადაწყვეტს, რომ მყარი ვალუტის მოსაპოვებლად ნებისმიერი ხარჯით და ნებისმიერ ფასად განახორციელოს ექსპორტი, ტენდენციის გაგრძელებას ხელს არაფერი შეუშლის, ირანის მიერ გაყიდული ცემენტის ფასი თავისუფლად გაუწევს კონკურენციას ნებისმიერ ადგილობრივ პროდუქტს. რა თქმა უნდა მათ აღარ ექნებათ არანაირი მოტივაცია, რომ გრძელვადიან პერიოდში გააგრძელონ საქართველოში ცემენტის მწარმოებლებისთვის კლინკერის მიყიდვა, როდესაც შეუძლიათ მაქსიმალური შემოსავალი მიიღონ უშუალოდ ცემენტის რეალიზაციით. შედეგად ყველა სამუშაო ადგილი ცემენტის სექტორიდან გადაინაცვლებს ირანში, რაც მძიმე შედეგების მომტანი იქნება როგორც ქართული ეკონომიკისათვის ისე შრომის ბაზრისთვის.“ – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ილია მარტყოფლიშვილი

„გვინდა, იმდენ ხანს იცოცხლო, ვიდრე არ იტყვი, კმარაო!“

(მეოთხე გვერდიდან)

და არც მალავენ, რომ რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობა არაკორექტულად მოექცა მათ, შრომა არ დაუფასა და სინანულიც არ გამოხატა, რომ პროფესიონალი, გამოცდილი და შრომისუნარიანი ადამიანები უმუშევარი დატოვეს. ამის იქეთ კი იყო დიდი მხიარულება, უამრავი ამბის და კურიოზის გახსენება. ერთმანეთის დატოვება ეძნელებოდათ, ეფერებოდნენ ერთმანეთს და იხსენებდნენ იმ ადამიანებს, ვინც ამქვეყნად აღარ არიან.

-როგორ შეიძლება, არ გავიხსენიოთ მირზაანის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ლიზიკო გონაშვილი, რომელმაც ჩემი პროფესიის არევაში (დაამთავრა ა. პუშკინის სახელობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი) დიდი როლი აქვს, ოზანის ბიბლიოთეკარი ალექსანდრე (ლუცო) გოლაშვილი, ცირა ალადაშვილი, იზოლდი ჯალიაშვილი, ეთერ ნატროშვილი, ლეილა დავითაშვილი, ლამარა მაისურაძე, თამარ თურმანაული, ეთერ ბერიძე, ნინო კობაიძე, მერი და მარო გონაშვილები და სახვები, – თქვა ნელი გობეჯიშვილმა და ყველა თანამშრომელს, ლია ფიროსმანიშვილის თაოსნობით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის სახელით გადასცა სიგელები კულტურის სამსახურში გაწეული შრომისათვის.

წიგნის ფასი ამ ქალბატონმა ყველაზე უკეთ იცისო და შეხვედრის დასასრულს იუბილარს გადასცეს საჩუქარი – „2000 მცენარეული სამკურნალო რეცეპტის“ ორტომეული. კეთილი სურვილებით გაჯერებულ მილოცვას ხელი მოაწერეს შეხვედრის მონაწილეებმა: ნელი გობეჯიშვილმა, ანგელინა ღორაშვილმა, თინიკო სულაშვილმა, ფარლიზი ზირაქიშვილმა, ციური ბენაშვილმა, ჟუჟუნა ჯაგაშვილმა, მაია ჯანიაშვილმა და მარინა ჯამასპიშვილმა.

ეს ლამაზი შეხვედრა დასრულდა სურვილით, კვლავაც ხშირად შეხვდნენ ერთმანეთს და არ დაივიწყონ ის წლები, რომელიც მათ ერთმანეთის გვერდზე გაატარეს.

ნაირა გორაშვილი

ქირავდება!

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩა N9-ში („დომ ბიტამდე“), მე-8 სართულზე ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა, ფასი 450 ლარი (შეიძლება ფასზე მოლაპარაკებაც). მსურველები დაგვიკავშირდით: 599 85 58 32

იყიდება!

იყიდება ბელეტაჟზე სახლი, რომელიც უზრუნველყოფილია გაზით, დენით, წყლითა და კანალიზაციით დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩა N 69 ცენტრთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 579 15 20 87

იყიდება!

სამოთახიანი ბინა სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა. მისამართი: რუსთაველის ქ. №4, კორპუსი 31, ბინა 9. 555 23 26 80 ფასი შეთანხმებით.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა ღია კონკურსი შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. მეოთხე რანგის 1-ლი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი სოფელ არხილოსკალოს ადმინისტრაციულ ერთეულში.
2. მეოთხე რანგის 1-ლი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი სოფელ არბოშიკის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განცხადებების რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე www.hr.gov.ge

განცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 25 ივლისის ჩათვლით.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 23.07		სამშაბათი 24.07		ოთხშაბათი 25.07		ხუთშაბათი 26.07		პარასკევი 27.07		შაბათი 28.07		კვირა 29.07	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	21°	20°	24°	23°	26°	25°	28°	27°	29°	27°	28°	27°	29°	27°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჰოსტაშვილი (ბულალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.